ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №2142196

ნომერი: AR1332575

თარიღი : 06.08.2015

გაცემის თარიღი : 17.08.2015

გაცნობის თარიღი : 17.08.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , მასივი III , კორპუსი 51 , მიმდებარედ ნაკვეთი 20/036;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ჭუმბურიძე პ/ნ 62001018116
- ქ.თბილისი, ზ.ფანასკერტელ ციციშვილის 7, ბინა 71

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა დავით ჭუმბურიძის 06.08.2015 წლის AR1332575 განცხადება, რომლითაც მოითხოვა ამავე სამსახურის 22.07.2015 წლის #2026059 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.07.2015 წლის #2026059 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კორპუსი 51, მიმდებარე ნაკვეთი 20/036, შპს "დავიდე"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.19.20.020.036), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 22 ივლისიდან 2015 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით. დამკვეთად დაფიქსირებულია შპს "დავიდე“, დირექტორი დავით ჭუმბურიძე.
დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს ბრძანებაში დაფიქსირებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების გასწორებას და შემდეგი მონაცემების დაფიქსირებას: საზაფხულო ფართი 388.2-ის ნაცვლად – 361.3 კვ.მ; საცხოვრებელი ფართი 4751.9-ის ნაცვლად – 4778.9კვ.მ; საერთო ფართი 6588.7 -ის ნაცვლად– 6588.8 კვ.მ დაფიქსირებას.
წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები სამსახურმა შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, განმცხადებლის მოთხოვნა მართებულია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. მოცემულ შემთხვევაში გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 63–ე მუხლების თანახმად,
ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს დავით ჭუმბურიძის 06.08.2015 წლის AR1332575 განცხადება;
2. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22.07.2015 წლის #2026059 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდე შემდეგი მონაცემები: საზაფხულო ფართი – 361.3 კვ.მ; საცხოვრებელი ფართი – 4778.9კვ.მ; საერთო ფართი – 6588.8 კვ.მ; სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი;
3. წინამდებარე ბრძანებას დაერთოს 06.08.2015 წლის AR1332575 განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი გეგმები;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22.07.2015 წლის #2026059 ბრძანებასთან ერთად;
5. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, #6), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.